

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in blue ink, written over a horizontal line.

კახაბერ კირტავა

02. _12_. 2014 წელი

2 ეგზ.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 26/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

აუდიტის ანგარიში

<i>დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....</i>	<i>3</i>
სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ხელმძღვანელობას.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
<i>პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ</i>	<i>4</i>
<i>პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....</i>	<i>4</i>
<i>დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>5</i>
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
<i>პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. 5</i>	<i>5</i>
<i>პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>9</i>
<i>მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა</i>	<i>9</i>
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	13
ფინანსური ანგარიშგების ფორმები.....	14



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2012 წლის ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბულვარის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.



აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ბალანსზე რიცხული აქტივების, კერძოდ გამოცვლილი ავტონაწილების შერჩევითი დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ 19 დასახელების 29 ერთეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა¹ ფიზიკურად განთავსებულია ბულვარის საწყობში და არ ირიცხება ორგანიზაციის ბალანსზე. შესაბამისად, აღნიშნული ფასეულობა ექვემდებარება საბალანსო ანგარიშგებში აღრიცხვას.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

¹ მათ შორის 2 ავტომანქანის გამოცვლილი ძრავი.



აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შედეგად, არაეკონომიურად განკარგული იქნა 89 980 ლარი.

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ფეხით მოსიარულეთა ახალი ბილიკისათვის მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის სკამების შესყიდვა-მონტაჟის მიზნით², სავარაუდო ღირებულებით 872 230 ლარი. ტენდერში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი, ვაჭრობის შედეგების მიხედვით ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ჯი-თი-აიმ“ 741 500 ლარი, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი იქნა

² SPA110028248 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/57 23.12.2011წ.



ფასების ცხრილისა და ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული დოკუმენტაცია, სატენდერო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილა და შესაბამის ოქმში აღნიშნულია³, რომ წარმოდგენილი წერილი საქონლის წარმოშობისა და მწარმოებელი ქვეყნის შესახებ, ქსეროასლია და შესამჩნევად არ ფიქსირდება ხელმოწერა და ბეჭედი. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით პრეტენდენტს წარმოდგენილი აქვს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი, აქვე დაადგინა, რომ ვინაიდან პრეტენდენტს თავდაპირველად საქონლის წარმოშობის ქვეყანად მითითებული ქონდა თურქეთი, ხოლო დაზუსტების შემდგომ შეიცვალა ესპანეთით, ჩათვლილი იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებად და პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია. დოკუმენტაციის დაზუსტება ეთხოვა შემდგომ პრეტენდენტს, შპს „პარაგონ იმპორტს“, რომლის მიერ საბოლოო დაფიქსირებული ფასი შეადგენდა 831 480 ლარს, ანუ პირველ პრეტენდენტთან შედარებით 89 980 ლარით მეტი. აღნიშნულ მონაწილეს თავდაპირველად საერთოდ არ ქონდა მითითებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ხოლო დაზუსტების შემდგომ წარმოადგინა ამერიკა, თურქეთი, საქართველო. რის შემდგომაც საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემდგომ გამოცხადდა გამარჯვებულად. იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტს საწყის ეტაპზე საერთოდ არ ჰქონდა მითითებული წარმოშობის ქვეყანა, რაც შემდგომში იქნა დაზუსტებული, აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ ფიქსირდება საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა და შესაბამისი დასაბუთების არარსებობა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია 89 980 ლარით მეტი თანხის გადახდა.

2. შადრევანი „გოგონა ველოსიპედით“ მოწყობის სამუშაოების შესყიდვის პროცედურები და საბაზრო ფასთან შესაბამისობა მაღალი რისკის შემცველია.

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ შპს „Li Groups-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე⁴ შესყიდული იქნა ზემოაღნიშნული შადრევანის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. წარმოდგენილი პროექტით, სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრა 207 618 ლარით, რომელშიც უშუალოდ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 149 241,9 ლარს, ზედნადები ხარჯები (4%) 5 969,7 ლარს, გეგმური დაგროვება (9%) 13 969 ლარს, გაუთვალისწინებელი ხარჯები (4%) 6 767,2 ლარს და დღგ 31 670,6 ლარს. შემსყიდველის მიერ, სატენდერო⁵ წინადადებაში საერთო საპროექტო ღირებულება (207 618 ლარი) აღებული იქნა საწყის

³ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N103/3 6.12.2011წ.

⁴ SPA 120008754 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/28 30.03.2012წ.

⁵ SPA 120003053 ეგრეთწოდებული შადრევანი „გოგონა ველოსიპედით“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/20 13.03.2012წ.



სავარაუდო ღირებულებად და გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, თუმცა არ იქნა მითითებული ზემოთ აღნიშნული ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვება და გაუთვალისწინებელი სამუშაოების მაჩვენებლები. სატენდერო წინადადებაში მითითებული ფორმით, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა და საბოლოო შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებად განისაზღვრა 205 582,6 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ იმ პირობებში, როდესაც პროექტით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების ჩათვლით შეადგენდა (დღგ-ს გარეშე) 169 180,7 ლარს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა გაზრდილია გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების ხარჯზე და შეადგინა 174 222,5 ლარი. შემდგომში, საწყის პროექტში სამ შემთხვევაში განხორციელდა ცვლილება სამუშაოს მოცულობებისა და ღირებულებების მოტივით, სადაც მითითებულია ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვება და გაუთვალისწინებელი სამუშაოების მაჩვენებლები, თუმცა ცვლილების საფუძველზე მხარეებს შორის გაფორმებულ შეთანხმებებში და დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში კვლავ არ იქნა ასახული ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვება და გაუთვალისწინებელი სამუშაოების მაჩვენებლები და საბოლოო ღირებულება, გაუთვალისწინებელი სამუშაოების (6 280,17 ლარი) ღირებულების ხარჯზე, განისაზღვრა (დღგ-ს გარეშე) 163 145,79 ლარით, რაც ცვლილების შედეგად, პროექტით (ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების ჩათვლით) გათვალისწინებულ სამუშაოების ღირებულებაზე (157 004,33 ლარი)⁶ 6 141,4 ლარით მეტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში საბოლოო ხარჯთაღრიცხვა და საპროექტო მონაცემები, ერთეული სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით 170% და 8500%-იანი მეტობით არის წარმოდგენილი, კერძოდ: აუზის მოპირკეთება პროექტით 15 983,8 ლარი - ფასების ცხრილით 27 280 ლარი, ქანდაკების მონტაჟი პროექტით 106,5 ლარი - ფასების ცხრილით 9 000 ლარი, რაც საპროექტო ხარჯთაღრიცხვისა და ფასების ცხრილის საბაზრო ფასებთან შეუსაბამობის რისკს წარმოშობს.

3. შემსყიდველის მიერ გარე განათების წერტილის მომსახურება განხორციელებულია შესაბამისი დაგეგმარებისა და ქმედითი ღონისძიებების გარეშე, რაც მათ მიერ აღნიშნული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების არაეკონომიურობაზე მიუთითებს.

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე⁷, გარე განათების წერტილის მოვლა -პატრონობისა და ტექნიკური მომსახურებისათვის სულ 2012

⁶ სხვაობა შეადგენს 6 141,4 ლარს

⁷ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/02 04.02.2011წ. – 2012 წლის იანვრის თვის მომსახურება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1/12 01.02.2012წ. - 2012 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე მომსახურება და ელექტრონული ტენდერი SPA120004029.



წლის პერიოდში გადახდილია 120 829 ლარი, ბუღვარის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული გარე განათების წერტების ანალიზით და შესაბამისი უფლებამოსილი პირების განმარტებით, 2012 წლის პერიოდში შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოვლა-პატრონობისთვის გამოცხადებული 3 716 წერტიდან 2096 წერტი არ არის აღრიცხული საბალანსო ანგარიშებში. მათ შორის 400⁸ ერთეული მინათების ელემენტი განლაგებულია კერძო სამართლის სუბიექტის ტერიტორიაზე.⁹ შესაბამისად ვერ ხდება იდენტიფიცირება აღნიშნული წერტების მესაკუთრისა და აღრიცხვის აუცილებლობის შესახებ, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სულ 2096 წერტის მოვლა-პატრონობისათვის 2012 წელს გადახდილია 72 312 ლარი¹⁰.

4. ბუღვარის ტერიტორიაზე არსებული შადრევანების პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის პროცესში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გაგრძელება განხორციელდა დაუსაბუთებლად, რაც მიმწოდებელზე 3137.25 ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვის თავიდან არიდებაზე მიუთითებს.

სსიპ „ბათუმის ბუღვარმა“ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება¹¹ გააფორმა შპს „ვლს-სთან“, ბუღვარის საკუთრებაში არსებული შადრევანების პროგრამული უზრუნველყოფის განახლების მიზნით, სახელშეკრულებო ღირებულებით 66 750 ლარი, მომსახურების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღე¹². მოგვიანებით, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების¹³ მიხედვით, მომსახურების ვადა მიმწოდებელს გაუგრძელდა 2012 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით. ვადის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენდა¹⁴ შესაბამისი პერსონალის საფრანგეთიდან ჩამოუსვლელი შიშვითი მომსახურების სიმრავლის გამო, რაც ვერ იქნება მიჩნეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გაგრძელების ფორსმაჟორულ ან აუცილებელ პირობად, რაც შესაძლოა მიმწოდებელზე 3137.25¹⁵ ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში მიმწოდებლის მიერ ვალდებულებათა

⁸ 1 ერთეული წერტის მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულია 3 ლარად.

⁹ ესენია: ჰოლანდიური, აჭარული, კოშკი, და ჩინური რესტორნის ფასადისა და ტერიტორიის განათებები.

¹⁰ $2096 \times 1,5 \times 1$ იანვრის თვეზე + $2096 \times 3 \times 11 = 3144 + 69\,168 = 72\,312$ ლარი.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1/76 12.06.2012წ.

¹² 2012 წლის 21 ივლისი.

¹³ 2012 წლის 20 ივლისი ხელშეკრულება N1/76 დანართი N1

¹⁴ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია-წერილი.

¹⁵ $(66750 \times 0,1/100) \times 47$ დღეზე = 3137,25 ლარი.



შეუსრულებლობის გამო, მხარეთა შორის გაფორმებული მორიგი შეთანხმებით¹⁶ შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სსიპ „ბათუმის ბულვარის“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

1. 2012 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან, გახარჯული იქნა 3,290 ლარი უკრაინის დელეგაციებისათვის, თუმცა წარმოდგენი დოკუმენტაციით ვერ ხდება სსიპ „ბათუმის ბულვართან“ მიმართებაში სტუმართა იდენტიფიცირება, რაც შემსყიდველის მიერ დაუსაბუთებელი ხარჯების რისკზე მიუთითებს.

2. სსიპ „ბათუმის ბულვარმა“, ელექტრონული ტენდერის¹⁷ საშუალებით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „აგროდეკორსერვისს“ მცენარეების შესყიდვა-დარგვის მიზნით, სახელშეკრულებო ღირებულებით 59 085 ლარი. ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის რაუნდების დასრულების შემდგომ, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი იქნა ფასების ცხრილის დაზუსტება, თუმცა მიმწოდებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მიწოდების ვადების შეუსაბამოდ განახორციელა აღნიშნული ინფორმაციის ატვირთვა¹⁸. აუდიტის პერიოდში შემსყიდველის მიერ არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული გარემოების აღმოფხვრის მიზნით.

3. სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ნინოშვილის ქუჩისა და სასტუმრო „შერატონის“ კვეთის მიმდებარედ ტერიტორიაზე შადრევანის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით¹⁹, სავარაუდო ღირებულებით 207 618 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიმწოდებელს გამარჯვებიდან 3 დღის ვადაში უნდა წარმოედგინა შესასყიდი ობიექტის ნიმუში, ლაბორატორიული დასკვნა ბუნებრივი გრანიტის მახასიათებლების შესახებ, რომელიც გაცემული უნდა ყოფილიყო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს „აბგ და კომპანია“, თუმცა მიეცა

¹⁶ 2012 წლის 7 სექტემბერი ხელშეკრულება N1/76 დანართი N2

¹⁷ SPA 120022861 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/43 08.10.2012წ.

¹⁸ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო მცენარეების მიწოდება დარგვა 2012 წლის 1 დეკემბრამდე ხოლო მიმწოდებლის მიერ ფასების ცხრილში სხვადასხვა მცენარეებზე 2012, 2014, 2015 და 2016 წლების 1 დეკემბრამდე.

¹⁹ SPA 110028253



დისკვალიფიკაცია, აღნიშნული დასკვნის წარმოდგენლობის გამო. შემსყიდველის მიერ, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით, განმეორებით²⁰ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, სადაც უკვე ზემოაღნიშნული პირობა ექსპერტიზის მოთხოვნასთან დაკავშირებით ამოღებული იქნა, ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი შპს „აბგ და კომპანია“ რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად. თუმცა შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება, აღნიშნული პირობის სატენდერო მოთხოვნებში გათვალისწინებისა და შემდგომ ამოღების თაობაზე.

4. სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ, რიგ შემთხვევებში განხორციელებული შესყიდვების პირობების შესაბამისად, ვერ ხდება იდენტიფიცირება თუ კონკრეტულად რა პარამეტრებისა და მახასიათებლების საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდა, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს²¹.

5. სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²² 291 800 კვ.მ ბათუმის სანაპირო ზოლის მოსწორებითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, თუმცა შემსყიდველის მიერ არ იყო წინასწარ მომზადებული შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და არ ქონდა განსაზღვრული თუ რას მოიცავდა აღნიშნული სამუშაოები, ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „ბონდი 2009-ს“, რომელზეც გადახდილი იქნა სულ 40 000 ლარი, აგრეთვე მიმწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებშიც ვერ ხდება იდენტიფიცირება თუ კონკრეტულად სად და რა სახის სამუშაოები იქნა ჩატარებული.

6. სსიპ „ბათუმის ბულვარის“ მიერ, შადრევანის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების²³ თანდართულ ფასების ცხრილთან შედარებით, მიმწოდებელზე მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ზედმეტად გადახდილია 100 ლარი²⁴.

7. სსიპ „ბათუმის ბულვარმა“, აჭარის ა/რ მთავრობის განკარგულების საფუძველზე²⁵, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის²⁶ საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ნიუ სითის“ გალვანიზირებული რკინისაგან დამზადებული სავაჭრო ჯიხურის დამზადებასა და ბულვარის ტერიტორიაზე

²⁰ SPA 120003053 ეგრეთწოდებული შადრევანი „გოგონა ველოსიპედით“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/20 13.03.2012წ.

²¹ შესყიდვები: SPA120006589; SPA120006786; SPA120008072; SPA120005682; SPA120014833; SPA120006590;

²² SPA120011046

²³ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N2/17 06.03.2012წ.

²⁴ სამფაზიანი ავტომატური ამომრთველი ფასების ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული იყო 2576 ლარად, მიწოდებული იქნა 2676 ლარად.

²⁵ აჭარის ა.რ. მთავრობის განკარგულება N44 10 აპრილის 2012წ.

²⁶ SPA 120011045



დამონტაჟების მიზნით, სულ 8 ერთეული ჯიხური სახელშეკრულებო²⁷ ღირებულებით 265 000 ლარი²⁸. აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ვიზირებული ერთეული ჯიხურის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არ არის დათარიღებული და ვერ ხდება იდენტიფიცირება დოკუმენტის მომზადების თარიღთან დაკავშირებით, ხოლო სხვა სახის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაც საბაზრო ფასებთან მიმართებით რისკის შემცველია. თუმცა აქვე აღსაღნიშნავია, რომ ჯიხურების მონტაჟიდან 4 დღეში, 2012 წლის 22 ივნისს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, სსიპ „ბათუმის ბულვარს“ ეცნობა, რომ შპს „GIFT OF AJARA“²⁹ ითხოვს სსიპ „ბათუმის ბულვარის“ საკუთრებაში არსებული 8 ერთეული გალვანიზირებული სავაჭრო ჯიხურის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას. შესაბამისად, სსიპ „ბათუმის ბულვარს“ ეთხოვა 8 ერთეული სავაჭრო ჯიხურის ორგანიზაციის ბალანსიდან მოხსნის საკითხის განხილვა. თავის მხრივ ორგანიზაციის დირექტორის მიერ შესაბამისი ბრძანებით³⁰ 265 000 ლარის ღირებულების სავაჭრო ჯიხურები მოიხსნა საბალანსო ანგარიშიდან და გადაეცა³¹ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. სსიპ „ბათუმის ბულვარმა“ 2012 წლის 2 ივლისს საიჯარო ხელშეკრულებით, უფლება მისცა შპს „GIFT OF AJARA-ს“ განეთავსებინა 8 ერთეული გალვანიზირებული მეტალის და 14 ერთეული ჯიხური 2013 წლის 2 ივლისამდე, ღირებულებით 22 000 ათასი ლარი.

8. ორგანიზაციაში შემოსული კორესპოდენციის ანალიზით დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში ფიქსირდება მოთხოვნა კონკრეტული ობიექტის განთავსების შესახებ, რომელიც შესაძლებელია სსიპ „ბათუმის ბულვარისათვის“ დამატებითი შემოსავლის წყარო გამხდარიყო, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ ხდება იდენტიფიცირება შესაბამისი ქმედითი რეაგირებებისა ან დასაბუთებული უარის შესახებ, აღნიშნული ობიექტების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი ტერიტორიების გათვალისწინებით, იჯარის ჯამური ოდენობა საშუალოდ შეადგენს 12 500 ლარს.

²⁷ ხელშეკრულება N2/31 27 აპრილი 2012წ.

²⁸ საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 18 ივნისს.

²⁹ შპს GIFT OF AJARA - სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 7 ივნისის 2012 წელი.

³⁰ სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორის ბრძანება N62 22.06.2012წ.

³¹ მიღება-ჩაბარების აქტი 22.06.2012წ.



ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 6 526.4 ათას ლარს შეადგენს, ხოლო დაზუსტებული 6 526.4 ათასი განისაზღვრა, საკასო ხარჯი 6 298.4 ათასი ლარია, ხოლო ფაქტობრივი 12 323.5 ათასი ლარი.

ხარჯების ნაწილში, გარდა არაფინანსური აქტივებისა, დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3 959.2 ათას ლარს, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტია 3 957.3 ათასი ლარი. საკასო ხარჯი 3 753.6 ათასი ლარი, ფაქტობრივი ხარჯი 12 323.5 ათასი ლარი. საკასო ხარჯსა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 8 569.8 ათას ლარს, მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულიდან გადმოცემული და გადაცემული არაწარმოებული აქტივების ღირებულება 7 011, 1 ათას ლარს, ძირითადი კაპიტალის მოხმარება 1 687,1 ათას ლარს, ხოლო 128,2 ათასი ლარი შეადგენს სუბსიდიის მუხლით შეძენილ და გაუხარჯავი აქტივების ნაშთს.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ნაწილში აუდიტის პერიოდში გათვალისწინებული იყო 489,0 ათასი ლარის შემოსავლის მიღება. ფაქტობრივად მიღებული შემოსავალი შეადგენს 432,7 ათას ლარს (გეგმის 86,6%), მათ შორის 394,8 ათასი ლარი შემოსულია მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო 37,8 ლარი ირიცხება მოთხოვნების სახით. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის (304,6 ათასი ლარი) გათვალისწინებით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშზე ნაშთად ირიცხება 318,0 ათასი ლარი.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციას დებიტორული დავალიანების ნაშთად ირიცხებოდა 48.6 ათასი ლარი, კრედიტორულ დავალიანებად 1.8 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 110.3 ათას ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 30.7 ათას ლარს.



აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გურამ დუმბაძე /უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი, ჯგუფის წევრი/

რამაზ დიასამიძე /აუდიტორ-ასისტენტი, ჯგუფის წევრი/

2/12/2014წ.

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		0
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	304,603	318,047
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		0
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0
130	მოკლევადიანი სესხები	1320		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაცემიერებული სხ	1354		31
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მოთხოვნების მიწოდ	1355	48,672	110,307
210	გადახდილი დღგ	1356	23,400	0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	2,120	0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	34	34
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	495,740	0
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		0
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		0
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახადებით	1470		0
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0
340	გრძელვადიანი სესხები	1510		0
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		0
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		0
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		0
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		25,732
390	შენიშნა-ნაგებობები	2110	13,868,904	14,100,501
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	9,642,661	10,508,944
410	სხვა პირითადი აქტივები	2130	567,935	720,468
420	დაუმთავრებელი შენებლობა	2140		0
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		0
440	ფასეულობები	2300		118,101
450	არწარმოებული აქტივები	2400	151,485,365	148,534,964
ბალანსი			176,439,434	174,437,128

07/02/13 13:25:40

გვერდი 2 3-დან

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
------	---------------------------	-----------	------------------------------	-----------------------------------

I. ვალდებულებები

460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		0
470	მოშახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	1,883	30,733
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		0
490	ვალდებულებები ხარტებით	3230		0
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		21,983
510	გადასახდელი დღგ	3242		0
520	გადასახდელი სამშენებლო გადასახადი	3243		0
530	სხვა გადასახდელები	3244		0
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		0
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		0
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		0
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		0
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		0
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		0
600	დამჭირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3255		0
610	დამჭირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3256		0
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		0
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		0
640	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		0
650	ვალდებულებები დემონსტრაციების მიმართ	3260		0
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		0
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		0
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		0

II. კაპიტალი

690	წმინდა ღირებულება	5100	176,056,001	173,825,294
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		0
710	გაუნაწილებელი მოგება	5220	381,550	559,117
720	დაუფარავი ზარალი *	5230		0
ბალანსი			176,439,434	174,437,128

III. საცნობარო მუხლები

730	საპერატიო იჯარით აღებული ბირთვადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯი	01	0	0
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	0	0
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
760	ხარეკებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	27,809	37,305
770	პირობითი მოთხოვნები	05	0	0
780	პირობითი ვალდებულებები	06	0	0
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
800	ამორტიზირებული ბირთვადი აქტივები	08	0	37,800
810	ვადგადაცილებული დავალიანებები	09	0	0
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარეკებში ჩამოწერილი გრძელვადიანი შეირეფსიანი აქტივები	10	70,002	110,268
830	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

დ. ა.

* აღნიშნული მუხლები აკლდება ბალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯგუფს

07/02/13 13:25:40

გვერდი 3 3-დან

8187 ჭიჭილი
 ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის დასახელება სსიპ "ზათუმის ბულვარი"

კოდი 245630786

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	3,959,249	3,957,367	3,784,421	3,753,687	3,753,687	12,323,584	8,569,896
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21							
030	1.1.1 ხელფასები	211							
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111							
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111							
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113							
080	1.1.1.1.4 დანაშატი	21114							
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22							

01/01/13 11:25:19

ვერდი 1 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221							
170	1.2.1.2 მივლინება	222							
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223							
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224							
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226							
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად პოციენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228							
240	1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნო-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210							
260	1.3 პირითადი კაპიტალის მოხმარება *	23	0	0	0	0	0	1,687,118	1,687,118
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							

01/01/13 11:25:20



გვერდი 2 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზემა	დაზუსტებული ზემა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯისა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25	3,959,249	3,957,367	3,784,421	3,753,687	3,753,687	3,625,403	- 128,285
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	7,011,062	7,011,062
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	7,011,062	7,011,062
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632	0	0	0	0	0	7,011,062	7,011,062
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27							
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							

01/01/13 11:25:20



გვერდი 3 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯისა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272							
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამჭირებულების მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273							
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731							
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282							
630	1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2821							
640	1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	2822							

01/01/13 11:25:20



ვერდი 4 5-დან

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
შ ა ჩ ვ ე ნ ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა ,			სახელმწიფო ბიუჯეტით		არასახელმწიფო				
			წლიური გეგმით	ფაქტობრივად *	წლიური გეგმით	ფაქტობრივად *			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა			95	95					
1. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა					20	20			

* დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდის დასაწყისში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის საფუძველზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



01/01/13 11:25:20

[Handwritten signature]

გვერდი 5 5-დან


 ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით სავსე ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა #2-1

ორგანიზაციის დასახელება სსიპ "ზათუმის ბულვარი"

245630786

პერეკრებულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საქონო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	2,567,193	2,567,193	2,542,912	2,542,912	2,542,912
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	2,542,912	2,542,912	2,542,912
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	817,579	817,579	817,579
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	191,999	191,999	191,999
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 ვეიოსები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	0	0	60,495	60,495	60,495
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	0	0	565,085	565,085	565,085
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	1,594,548	1,594,548	1,594,548
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	186,932	186,932	186,932

31/12/12 16:44:24

Հարցեր 1-3-ը

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზღმა	დაზუსტებული ზღმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დამაფარავი და ინვენტარი	31122	0	0	1,407,616	1,407,616	1,407,616
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	130,785	130,785	130,785
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131	0	0	59,085	59,085	59,085
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	0	0	71,700	71,700	71,700
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322	0	0	71,700	71,700	71,700
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 სეფიდან და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დამზადებული წარმოება	31222					
280	1.2.2.3 შხა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდეგში რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიონახშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დამარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					

31/12/12 16:44:24



გვერდი 2 3-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (მაკასო ზარეცი)
1	2	3	4	5	6	7	8
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



31/12/12 16:44:24

გვერდი 3 3-დან

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

Համար 245630786

ზომის ერთეული: ლარი

31/12/12 16:46:18



24

სტრ. კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკაპო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (შხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ორ	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3318	0	1,882	1,882	1,882	1,882
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (შხოლოდ სახელმწიფო საწარმოები და ორ	3325					
330	2.2.5 დაზღვევის ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორულ დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:



31/12/12 16:46:19

გვერდი 2 2-დან

ბალანსის დანართი ფორმა #3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება სსიპ "ნათუმის ბუღალარი"

კოდი 245630786

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგ. #	დებეტი	თანხა	ანგ. #	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისთვის	176,056,001
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	0	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6,298,482
7200	საქონელი და მომსახურება	0	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენს. და დაბმ -ის გასაფხად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1,687,118	6000	შემოსავლები	4,165,677
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	1,687,118	6300	მ.შ. გრანტები	4,136,247
7400	პროცენტი	0			
7500	ხუზსიდეები	3,625,403			
7600	გრანტები	7,011,062			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	0			
7800	სხვა ხარჯები	0			
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა			აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1300 - 1400	ფინანსური აქტივები	80,000	1300 - 1400	ფინანსური აქტივები	0
3000	ფინანსური ვალდებულებები	0	3000	ფინანსური ვალდებულებები	0
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	334,688	1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	43,406
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით *	0			
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			
	სადებეტო ბრუნვა	12,738,272		საკრედიტო ბრუნვა	10,507,565
	სულ ჯამი**	12,738,272		სულ ჯამი***	186,563,566
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	173,825,294

* აღნიშნულ სადებეტო პუნქტებში შეტანილია სახელმწიფოს სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო პუნქტის წლის დასაწყისისთვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო პუნქტის წლის დასაწყისისთვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ. ა



ბიზნეს პლან ბალანსის დანართი ფორმა №4

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება სსიპ "ბათუმის ბუღალარი" კოდი 245630786

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	შემოსავლები	კოდი	გეგმა	სულ	ფაქტური
1	2	3	4	5	6
010	ნაშთი წლის დასაწყისისთვის		304603	304604	
020	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები		489000	394894	432789
030	გრანტები				
040	სხვა შემოსავლები			394894	432789
050	ა) შემოსავლები საკუთრებიდან				
060	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			373836	411700
070	გ) სანაქციები (ფარიშები და საურავები)			1177	1208
080	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა				
090	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			19881	19881
100	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავლები				
110	არაფინანსური აქტივების კლება				
120	ფინანსური აქტივების კლება				
130	გაღდებულიების ზრდა				
140	სულ:			699498	68004
150	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	2	310966	29875	68004
160	1.1 შრომის ანაზღაურება	21			
170	1.2 საქონელი და მომსახურება	22	54150	29875	25361
180	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23			
190	1.4 პროცენტი	24			
200	1.5 სუბსიდიები	25			
210	1.6 გრანტები	26			
220	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27			
230	1.8 სხვა ხარჯები	28	256816		42643
240	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	482637	277948	
250	2.1 ძირითადი აქტივები	311		277948	
260	2.2 მატერიალური მარაგები	312			
270	2.3 ფასეულობები	313			
280	2.4 არაწამოვებული აქტივები	314			
290	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32			
300	3.1 საშინაო	321			
310	3.2 საგარეო	322			
320	4. გაღდებულიების კლება	33			
330	4.1 საშინაო	331			
340	4.2 საგარეო	332			
350	ბიუჯეტში გადახდილი თანხები			73627	
360	კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი				
370	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს			318048	

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:



ბალანსის დანართი ფორმა # 5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ
 ორგანიზაციის დასახელება სსიპ "ზათუმის ბულვარი"

კოდი 245630786

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება									გასვლა												ნაშთი წლის, პერიოდ ბოლოს
			შეყოფით	ბარ - ტერ - ით	იმდე დონის საბუღალტრო უსაყვე	გრანტები	სხვა შემოსავლები	სხვა გე - ნაკადები	საკუთარი სახსრები	დამკ - ლის აღდგენა	ვალი - ცი	ბარ - ტერ - ით	იმდე დონის საბუღალტრო უსაყვე	ხელფასები	სესი - დონები	გრანტები	სოც. დამხ - რებით	დამკ - ლითი	სხვა ხარჯები	სხვა გე - ნაკადები	საკუთარი სახსრები	ძირით. კაპიტ. მოხმარ.	საქონ. და მომ. სახსრ.	
010	1. მატერიალური მარაგები		606,678	0	0	12,200	0	0	0	0	0	0	149,999	0	445,347	0	0	0	0	0	0	0	0	26,732
020	1.1 სტრატეგიული მარაგები																							0
030	1.2 სხვა მატერიალური მარაგები		606,678	0	0	12,200	0	0	0	0	0	0	149,999	0	445,347	0	0	0	0	0	0	0	0	26,732
040	1.2.1 წედილული და მასალები																							0
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება																							0
060	1.2.3 შუა პერიოდული																							0
370	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეტანილი საქონელი																							0
380	1.2.5 ფულადი დოკუმენტები		48,147	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	48,147	0	0	0	0	0	0	0	0	0
390	1.2.6 სათადარიგო ნაწილები		21,823	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	18,663	0	0	0	0	0	0	0	0	5,160
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები		536,908	0	0	12,200	0	0	0	0	0	0	149,999	0	377,537	0	0	0	0	0	0	0	0	20,572
110	2. მორთადაი აქტივები	24,079,500	3,117,306	0	43,406	62,053	26,430	0	0	0	0	0	317,189	0	0	18,707	0	0	0	0	0	1,685,925	0	25,320,913
120	2.1 შენობა-ნაგებობები	13,868,304	973,027	0	0	0	0	0	0	0	0	0	268,000	0	0	0	0	0	0	0	0	476,430	0	14,100,501
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები																							0

11/01/13 11:53:53

გვერდი 1 3-დან

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება								გასვლა												ნაშთი წლის პერიოდის ბოლოს	
			შესყიდვით	ზარტით	იმვე დონის საბუთის უსაყ.	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა გ. ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	დანაკლისის აღფრთხილებით	გაყიდვით	ზარტით	იმვე დონის საბუთის უსაყ.	ხელფასები	სუბსიდიებით	გრანტებით	სოც. დამხმარებით	დანაკლისით	სხვა ზარტებით	სხვა გ. ნაკადებით	საკუთარი სახსრების კაპიტალიზაციის შედეგად	ძირითადი კაპიტალიზაციის შედეგად		საქონ. ფ. მომ. სახსრ.
140	2.1.2 არასაფრთხილო რეზერვები	860,260	324,489	0	0	0	0	0	0	0	0	0	266,000	0	0	0	0	0	0	0	0	9,284	0	910,475
150	2.1.3 საგზაო მანქანები																							0
160	2.1.4 ტრუბები																							0
170	2.1.5 გზები																							0
180	2.1.6 ხიდები																							0
190	2.1.7 გვირაბები																							0
200	2.1.8 გზების სისტემები		60,496	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2,057	0	96,490
210	2.1.9 სხვა საგნები	13,008,644	588,033	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	466,988	0	13,131,589
220	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9,642,861	2,813,494	0	43,496	82,093	0	0	0	0	0	92,189	0	0	18,707	0	0	0	0	0	0	1,201,813	0	10,506,944
230	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	158,916	186,932	0	42,734	6,894	0	0	0	0	0	48,796	0	0	0	0	0	0	0	0	0	54,968	0	291,718
240	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9,482,745	1,626,562	0	672	75,199	0	0	0	0	0	2,399	0	0	18,707	0	0	0	0	0	0	1,146,845	0	10,217,227
250	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	567,936	130,786	0	0	0	29,430	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	7,983	0	726,408
260	2.3.1 კულტურული აქტივები	562,810	99,086	0	0	0	29,430	0	0	0														661,326
270	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	5,125	71,700	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	7,983	0	68,143
280	2.4 დაუმთავრებული შენობა-ნაგებობები																							0
290	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები																							0

01/01/13 11:33:53

ვერსია 2-3-დან

პრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება								გასვლა												ნაშთი წლის, პერიოდ ზოლოს
			შესყიდვით	ზარ - ტრ - ით	იმვე დონის საბ.ტრით უსასყ.	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	დანაკლისის აღდგენით	გაყიდვით	ზარ - ტრ - ით	იმვე დონის საბ.ტრით უსასყ.	ხელფასები - სუბსიდიები	გრანტებით	სოც. დანაკრებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკ. ნაკადებით	საკუთ. სახსრ. კაპიტ. შეტანა	ძირით. კაპიტ. მოხმარ.	საქონ. და მომ. სახურ.	
300	4. ფასეულობები		119,294	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1,193	0	118,101
310	4.1 ძვირფასი ქვები და ლითონები																						0
320	4.2 ხელოვნების ნიმუშები		119,294	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1,193	0	118,101
330	4.3 სხვა ფასეულობები																						0
340	5. არაწარმოებული აქტივები	151,485,365	0	0	0	4,041,954	0	0	0	0	0	0	0	0	6,992,355	0	0	0	0	0	0	0	148,534,964
350	5.1 მიწა	151,485,365	0	0	0	4,041,954	0	0	0	0	0	0	0	0	6,992,355	0	0	0	0	0	0	0	148,534,964
360	5.2 წიაღისეული																						0
370	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																						0
380	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები																						0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

პირდაპირი:



1/01/13 11:33:53

გვერდი 3 3-დან

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ბალანსის დამართი ფორმა #6

ორგანიზაციის დასახელება:

ს.ს.ი.პ. "ზაფხუმის ზღადავნი"

კოდი: 245630786

პერიოდულობა:

წლიური, კვარტალური 2013 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

№	დასახელება	საბგარეო სრული დასახელება (რუბრები)		საანგარიშო პერიოდში მოცულობა		საანგარიშო პერიოდში გასული		საანგარიშო პერიოდში გამართული ზარები (ნაკასო)				საანგარიშო პერიოდში გამართული ზარები (ფაქტობრივი)			
		რუბრები სრული	რუბრები სრული	რუბრები სრული	რუბრები სრული	რუბრები სრული	რუბრები სრული	სრული	მ.შ. რუბრები	მ.შ. სრული	მ.შ. საბგარეო სრული	სრული	მ.შ. რუბრები	მ.შ. სრული	მ.შ. საბგარეო სრული
1	საბგარეო სრული ზარები	27	0	6	3	0	2	86237	13267	49147	23823	86237	13267	49147	23823
1	მ.შ. სრული - საბგარეო ზარები და მოგზაურობა	22		1	0		0								
1	საბგარეო იკონომიკა 2 კ-მდე დეკლარაცია	0		1	1										
1	საბგარეო იკონომიკა 2 კ-მდე დეკლარაცია			1											
	მომხმარებელი სახლი კლასი				2		1								
	მოგზაურობა, მოგზაურობა, მოგზაურობა	4	0	3			1								
	საბგარეო მოგზაურობა	1													
2	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა დანახარჯი	31	2	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2	მოხილვითი ტელეფონები	5	2	1			0	0	0			0	0		
2	ტელეფონები	2		0			0	0				0			
2	კომპიუტერები	24	0	4			0	0	0		0	0	0		0



ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ორგანიზაციის ხელმძღვანელი